## 4 „მშრალი“ ბურთი

გუშინ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მორიგი საწვრთნელი მატჩი ჩაატარეს „ბურევესტნიკის“ სტადიონზე. მათი მოწინააღმდეგე იყო მოსკოვის „ლოკომოტივი“.

ეს მატჩი თბილისელებმა ჩაატარეს გაცილებით უკეთესად, ვიდრე წინა შეხვედრები. საქმე მხოლოდ ანგარიშში არაა. გუდნი თამაშობდა დამაჯერებლად, გეგმიანად, მოთამაშეები ასრულებდნენ თავიანთ ფუნქციებს, კარგად ურთიერთმოქმედებდნენ გ. სიჭინავა და იამანიძე, რომლებსაც თამაშის მსვლელობაში ხშირად უხდებოდათ ადგილების ცვლა.

მატჩის კულმინაციას წარმოადგენდა მეორე ტაიმის დასაწყისი, როცა „ლოკომოტივის“ კარი ნამდვილი შტურმის ქვეშ აღმოჩნდა. 3 გოლი 5 წუთის განმავლობაში – ეს მრავლისმეტყველი ციფრია, რომელიც დინამოელთა პოტენციურ შესაძლებლობებზე მიგვითითებს.

ანგარიში გახსნა გ. სიჭინავამ. მას მოყვა მელაშვილისა და დათუნაშვილის დარტყმები და 50–ე წუთზე ტაბლოზე ეწერა 3:0.

63–ე წუთზე იამანიძე პირისპირ აღმოჩნდა მეკარის წინ და ვერ გამოიყენა ეს უაღრესად ხელსაყრელი მდგომარეობა. ამ შეცდომის გამოსწორება მან შეძლო 86–ე წუთზე, როცა კარგად შეურჩია ადგილი კალოევის გადაცემას და ახლო მანძილიდან გაგზავნა ბურთი კარში – 4:0.

„დინამომ“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა მატჩი: კვასხვაძე; ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ხოჭოლავა; ზეინკლიშვილი, იამანიძე; ფიფია, მელაშვილი, კალოევი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი.

**ე. ტაბუცაძე.**
**18 აპრილი, 1962 წ.**